F75 №458

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 1 ოქტომბერი, 1942 წ. № 233 (6549). ფასი 15 კაპ.

ახალი სასწავლო წელი

დღეს დაიწყო ახალი სასწავლო წელი. ჩვენი სამშობლოს მრისხანე საფრთხის ვითარებაში შეაღებენ დღეს საბჭოთა მოსწავლეები და სტუდენტები სასწავლებლის კარებს. დაიწყო მეორე სამხედრო სასწავლო წელი, რომლის წინაშე ომმა ახალი, სერიოზული ამოცანები დააყენა.

საბჭოთა მოსწავლეები, საბჭოთა სტუდენტები სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები არიან. ისინი გარემოსილნი არიან ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის მშობლიური მზრუნველობით. საბჭოთა სკოლა კანონიერად ამაყობს იმ თავისი აღზრდილებით და აღსაზრდელებით, რომლებმაც სამშობლოს დაცვის საქმეში, გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცობისა და გმირობის მაგალითები გვიჩვენეს. საქვეყნო დიდებით არის შემოსილი საბჭოთა სტუდენტების კრასავჩენკოს, პავლიჩენკოს, პჩელინცევის სახელები. მათ ასობით ჰიტლერელები გაჟლიტეს. საბჭოთა სკოლამ აღზარდა საბჭოთა კავშირის გმირი პარტიზანი გოგონა ზოია კოსმოდემიანსკაია (ტანია). მრავალი ასეთი უშიშარი მებრძოლი, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე დამცველი აღიზარდა მშობლიურ საბჭოთა სკოლაში, რომელიც მილიონობით გმირ პატრიოტებს ზრდის.

სამამულო ომმა ახალი ამოცანები დააკისრა სკოლებს, მოსწავლეებს, პროფესორ-მასწავლებლებს. საბჭოთა საქართველოს სკოლების წინაშე ახლა, როცა საზიზღარი ჰიტლერელი მხეცი [illegible] სისხლიანი ტორით კავკასიის ამაყ მთებს მოადგა, დგას ამოცანა: ომიანობის ვითარების შესაბამისად გაშალონ მუშაობა, უზრუნველჰყონ ნორმალური მეცადინეობა, აღზარდონ სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები. ეს ამოცანები ღრმად [illegible] შეგნებული მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც. საზაფხულო არდადეგების დროს მათ ფრონტისადმი დახმარების საუკეთესო მაგალითები გვიჩვენეს. ათასობით მოსწავლენი სოფლად საკოლმეურნეო მინდვრებზე წარმატებით იღებდნენ უხვ სამხედრო მოსავალს. მარტო თბილისის ორჯონიკიძის რაიონის, რომელმაც ამ საქმეში თბილისის რაიონებს შორის პირველი ადგილი დაიკავა, 59-ე, 55-ე, 42-ე და სხვა სკოლებმა დიდი რაოდენობით გაგზავნეს მოსწავლეები კოლმეურნეობებში სამუშაოდ. 94-ე სკოლის მოსწავლეთა რაზმმა 31 დღეში 1.400 შრომადღე გამოიმუშავა.

მოსწავლეები სკოლებს დაუბრუნდნენ. სკოლები მათ ახალი სასწავლო წლისათვის მზად დახვდათ. სანიმუშოდ მომზადებული არიან თბილისის 56-ე, 35-ე, 43-ე და 55-ე სკოლები. ახლა საჭიროა სწავლა, სწავლა და სწავლა ომიანობის ვითარების შესაბამისად, ისე, რომ სასწავლო დისციპლინებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოწაფეთა სამხედრო-ფიზკულტურულ მომზადებას. გასულ სასწავლო წელს საყოველთაო სამხედრო სწავლებაში ჩაბმულ თბილისის მოსწავლეთა 89 პროცენტმა გამოცდა ფრიადზე ჩააბარა. მოსწავლეთა სამხედრო მომზადებაში წელს ახალ წარმატებებს უნდა მივაღწიოთ.

უმაღლესმა სკოლებმა, ძირითადი სპეციალური საგნების სანიმუშოდ დაუფლებასთან ერთად, სტუდენტთა სამხედრო მომზადება მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ იმ მოთხოვნას, რომ საჭიროების დროს სტუდენტს შეეძლოს წიგნი შესცვალოს იარაღით. სტუდენტთა სამხედრო სწავლებაში ადგილი არ უნდა ექნეს პირობითობას. ასევე სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მათ იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას. ისინი უნდა აღიზარდონ სამშობლოს მამაც დამცველებად.

ჩვენი უმაღლესი სკოლები ახალ სასწავლო წელს მომზადებული შეხვდნენ. სასწავლო გეგმები გარდაქმნილია სამარი ვითარების შესაბამისად. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში გაძლიერებულია დისციპლინები — ანატომია, ფიზიოლოგია, ქირურგია (სამხედრო-საველე ქირურგია, ორთოპედია, ყბა-სახის ქირურგია და სხვ.). სტუდენტებისათვის შედგენილია რამდენიმე ახალი სახელმძღვანელო. ინსტიტუტის კათედრები და საერთო საცხოვრებლები უზრუნველყოფილია გათბობით. ახალ სასწავლო წელს ასევე მომზადებული შეხვდნენ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი და სხვა უმაღლესი სკოლები.

უმაღლეს სკოლებში სტუდენტების მომზადებასთან ერთად სერიოზული ყურადღება მიექცევა ძოძავალი მეცნიერ მუშაკების აღზრდას. ასპირანტებთან მუშაობას მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. უმაღლესი სასწავლებლების ლაბორატორიებსა და კაბინეტებში ფართოდ უნდა გაიშალოს სამეცნიერო მუშაობა, მეცნიერული კვლევა-ძიება სამამულო ომის ინტერესების შესაბამისად.

საჭიროა გვახსოვდეს — ომიანობის მრისხანე ვითარება, გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის სრული განადგურების ამოცანა რა სიძნელესაც არ უნდა ჰქმნიდეს, სკოლების ხელმძღვანელთა მოვალეობაა უზრუნველჰყონ შეუფერხებელი მუშაობა, ნორმალური მეცადინეობა.

დიდი მოვალეობა აკისრიათ მშობელთა კომიტეტებს. სკოლებში ფართოდ უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება სწავლების მაღალი ხარისხის მისაღწევად. სკოლის დირექტორი მთელი სასწავლო პროცესის მეთაურია.

ახალი სასწავლო წელი დაიწყო! სანიმუშოდ ჩავატაროთ იგი, ყოველმხრივ დავეხმაროთ ჩვენს სკოლებს მამაცი საბჭოთა პატრიოტების აღზრდაში.

ახალ სასწავლო წელს სკოლებში მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა უნდა დავუქვემდებაროთ ერთ ძირითად მიზანს: სოციალისტური სამშობლოს დაცვას, ვერაგი მტრის სრულ განადგურებას.

კონკურსი საუკეთესო გაუმჯობესებათათვის შავ მეტალურგიაში

შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა გამოაცხადა კონკურსი სათბობის, ელექტროენერგიის, დეფიციტური მასალების ეკონომიასა და შრომის ორგანიზაციაში საუკეთესო საგამომგონებლო და სარაციონალიზატორო წინადადებებისათვის.

საკონკურსოდ წარმოდგენილმა წინადადებებმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები: რეალიზაციის შესაძლებლობა არსებულ მოწყობილობაში, რეალიზაციის მოკლე ვადა (არაუმეტეს ორი თვისა) და შემცირება სათბობის, ენერგიისა და მასალების ხარჯვის ნორმებისა გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით.

კონკურსის ვადაა 1942 წლის 1 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე.

საუკეთესო წინადადებებისათვის დაწესებულია პრემიები 15.000, 5.000 და 3.000 მანეთის რაოდენობით.

იმ საუკეთესო წინადადებათა ავტორების დასაჯილდოებლად, რომლებიც პრემირებული არ იქნებიან კონკურსის ცენტრალური ჟიურის მიერ, საწარმოები გასცემენ წამახალისებელ პრემიებს 3.000, 2.000 და 1.000 მანეთის რაოდენობით. წესდება აგრეთვე პრემიები შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის საწარმოთა მუშაკებისათვის, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ კონკურსას პრემირებულ საუკეთესო წინადადებათა რეალიზაციაში. (საქდესი).

საოქტომბრო საჩუქრები გმირ წითელ არმიას

თბილისის № ფაბრიკის მთელმა კოლექტივმა აღფრთოვანებით დაიწყო საოქტომბრო საჩუქრების შეგროვება გმირი წითელი არმიისათვის. „ჩვენი ვალია, — განაცხადა ორასოვანმა სტახანოველმა ამხ. რ. ბაიდამ, — ყოველმხრივი დახმარება აღმოვუჩინოთ გმირ მებრძოლებს, განვამტკიცოთ კავშირი ფრონტსა და ზურგს შორის და დავაჩქაროთ ვერაგ მტერზე გამარჯვება. მე წითელი არმიის მებრძოლებისათვის საოქტომბრო საჩუქრად შემომაქვს ერთი წყვილი ხელთათმანი, სამი ნაჭარი ცხვირსახოცი, თამბაქო და პირსახოცი". 30 სექტემბრისათვის № ფაბრიკაში უკვე შეგროვებული იყო 6.500 მანეთამდე. ამ თანხით შეძენილი იქნება სურსათ-სანოვაგე, თამბაქო, საწერი ქაღალდი, თბილი ტანსაცმელი, საპონი და სხვ. საჩუქრების შეგროვებასა და ორგანიზაციაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ფაბრიკის მოწინავე ადამიანები ქ. კირვალიძე, ი. ეპშტეინი, ვ. აპოიანი, ს. ნაცვლიშვილი და სხვ.

თბილისის დეპოს მშრომელებმა საოქტომბრო საჩუქრების ფონდში 30 სექტემბრისათვის შეაგროვეს 9 ათას მანეთამდე. თანხების შეგროვება გრძელდება.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კოლექტივი შეუდგა წითელი არმიის მებრძოლებისათვის საოქტომბრო საჩუქრების შეგროვებას.

მებრძოლებისათვის საჩუქრად თამბაქოს ამზადებს **ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სახახლის** კომკავშირული ორგანიზაცია. აქ უკვე შეგროვებულია თანხა და შესყიდული თამბაქო მოკლე ხანში გაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

ვორონეჟის რაიონში

მოქმედი არმია, 28 სექტემბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). საბჭოთა ჯარები ეწევიან ბრძოლებს დონის დასავლეთ ნაპირზე ორი დასახლებული პუნქტის დასაკავებლად, რომლებიც გერმანელებმა წინააღმდეგობის დასაყრდენ პუნქტებად აქციეს. ამ დასახლებული პუნქტების ყველა მისადგომი ფაშისტებმა დანაღმეს, მათ გარშემო მოაწყეს მრავალმწკრივიანი მავთულხლართის დაბრკოლებანი და მისასვლელ გზებს იცავენ არტილერიისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლით.

საბჭოთა ნაწილებმა დაზვერეს და შეისწავლეს მტრის სიმაგრეები და ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მიმართულებით მიიტანეს იერიში გერმანელებზე. წითელარმიელებმა ააფეთქეს დანაღმული მინდვრები, მოსპეს მავთულხლართის დაბრკოლებანი და სწრაფი შეტევით შეიჭრნენ მტრის სანგრებში. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა, რომლის მსვლელობაშიც ფაშისტებმა დიდი ზარალი მოუვიდათ.

ერთი დასახლებული პუნქტის მისადგომებთან საბჭოთა მეომრებმა 200-ზე მეტი ჰიტლერელი გასწყვიტეს, წინ წაიწიეს და ხელთ იგდეს დავლა: ერთი ქვემეხი, 125 შაშხანა, ბევრი ვაზნა. სხვა ნაწილის მებრძოლებმა ამავე უბანზე გერმანელებს წაართვეს 2 ტყვიამფრქვევი, 2 საზენიტო დანადგარი და სხვა საჭურველი.

ჩვენს ქვეითებს გაბედულად და გადაჭრით ეხმარებიან მფრინავები, ტანკისტები, კავალერისტები და არტილერისტები.

განსაკუთრებით გაბედული და წარმატებითი თავდასხმა მოახდინეს ჩვენმა მფრინავებმა მტრის აეროდრომზე. თვითმფრინავები შეუმჩნევლად მიიპარნენ გერმანელთა აეროდრომთან, რომელზედაც ის იყო დაეშვნენ ფაშისტთა მანქანები. ჩვენმა მფრინავებმა რამდენიმე შემოვლა მოახდინეს და მოსპეს ფაშისტთა 14 ოთხმოტორიანი თვითმფრინავი და სერიოზულად დააზიანეს 6 მანქანა.

დღის განმავლობაში გერმანელებმა სამჯერ მიიტანეს იერიში ჩვენი ქვეითების ოცეულის მიერ დაკავებულ ზღუდეზე. მებრძოლები მტკიცედ გაუმკლავდნენ ფაშისტთა ტანკებისა და ქვეითი ჯარის შემოტევას. წითელარმიელმა ერმანენკომ, უმცროსმა ლეიტენანტმა გოლოვიმ და ზემდეგმა მელაევმა ტანკსაწინააღმდეგო თოფებით გერმანელთა რამდენიმე მანქანა დააზიანეს, ჰიტლერელებს მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდათ და დღის ბოლოს მათ უკან დაიხიეს.

ვ. კრილოვი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

30 სექტემბრის დილის ცნობა

29 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის რაიონში, მოზდოკის რაიონში** და **სინიავინოს რაიონში.** სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის წინააღმდეგ. ჩვენმა არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა 71 ავტომანქანა, 2 საარტილერიო ბატარეა და რამდენიმე ტანკი. გვარდიის სანაღმსტყორცნო ნაწილმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. ნიკიტინი, 800 ჰიტლერელი გაჟლიტა.

* * *

სტალინგრადის ჩრდილოეთ-დასავლეთით შეუპოვარი ბრძოლები გრძელდებოდა. ნ ნაწილის არტილერისტებმა გასწყვიტეს 600-მდე ჰიტლერელი, დააზიანეს და დასწვეს 16 ტანკი, მოსპეს 5 ქვემეხი, 35 ტყვიამფრქვევი და 27 ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად. გვარდიის ნაწილის უბანზე გერმანელთა ქვეითმა ჯარმა, ტანკების დახმარებით, იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. როცა მოწინააღმდეგის ტანკები ახლო მანძილზე მოვიდნენ, ჩვენმა ჯავშანმტვრეველებმა სროლა აუტეხეს და გერმანელთა 4 ტანკი დასწვეს. გაჟლეტილია გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

მოზდოკის რაიონში ჩვენი ნაწილები მოწინააღმდეგის იერიშებს იგერიებდნენ. ნ ნაწილის მებრძოლებმა მოსპეს მტრის 4 ტანკი, 9 ავტომანქანა სამხედრო მასალიანად და გაანადგურეს გერმანელთა ბატალიონი. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით გაფანტულია მოწინააღმდეგის თავმოყრილი დიდძალი ტანკი და მოტოქვეითი ჯარი.

* * *

ნოვოროსიისკის სამხრეთ - აღმოსავლეთით საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილები შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან და ერთი მაღლობი დაიკავეს. დანგრეულია მოწინააღმდეგის 7 მიწური საცეცხლე წერტი, 45 ბლინდაჟი და 4 საკომანდო პუნქტი. გაჟლეტილია 500-მდე გერმანელი და რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

შავი ზღვის ფლოტის ავიაციამ ორი კვირის განმავლობაში ჩასძირა მოწინააღმდეგის 5 ტრალერი, 6 კარჟაპი, 4 თვითმავალი პონტონი და 7 სატორპედო კატერი.

* * *

იმ ავიანაწილის მფრინავები, რომლის მეთაურიც არის ამხ. არხიპენკო (კარელიის ფრონტი), თავს დაესხნენ მტრის რამდენიმე აეროდრომს. საზენიტო არტილერიის ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, ყველა ბომბი მიზანს მოხვდა. აეროდრომებზე ხანძრის 18 კერა გაჩნდა და ორი მძლავრი აფეთქება მოხდა. მურმანსკის რაიონში ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლაში გერმანელთა 3 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

ბრიანსკ-ორიოლის რკინიგზის უბანზე პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 2 რკინიგზის ეშელონი ცოცხალ ძალიანად და საჭურვლიანად. დამტვრეულია 2 ორთქლმავალი, მრავალი ვაგონი და პლატფორმა.

* * *

გერმანიის მე-9 საარმიო კორპუსის 307-ე რკინიგზის ასეულის ტყვე ჯარისკაცმა ბრუნო რეხენბერგმა განაცხადა: „ჩემს ასეულში ძალიან ბევრია ხნიერი ჯარისკაცი. მაგალითად, მე 44 წლისა ვარ, მაგრამ ჩემზე უფროსებიც არიან. ამას წინათ მოწინავე პოზიციებზე გაგვგზავნეს და საბრძოლველად გაგვრეკეს. რუსები გარს შემოერტყნენ ასეულს და 60-ზე მეტი კაცი გასწყვიტეს. ჯარისკაცთა მცირე ჯგუფი ტყვედ ჩავარდა, დანარჩენები გაიფანტნენ.

მიმდინარე წლის აპრილში სოფელ ძვიკბორნში ვიყავი, ჰამბურგის მახლობლად. იქ მე გადმომცეს, რომ 1942 წლის 1 იანვრამდე აღმოსავლეთის ფრონტზე ამ სოფლის 45 მცხოვრებია მოკლული. პირველი მსოფლიო ომის 4 წლის განმავლობაში კი სოფელ ძვიკბორნის მცხოვრებთაგან ფრონტებზე მხოლოდ 30 კაცი დაიღუპა".

* * *

კიროვოგრადში სექტემბრის პირველ რიცხვებში უცნობმა პირებმა 3 გერმანელი ჯარისკაცი მოჰკლეს. გესტაპოელები რამდენიმე დღის განმავლობაში ჩხრეკას ახდენდნენ ბინებში და ქალაქში, მაგრამ მკვლელობის მონაწილე პირები ვერ აღმოაჩინეს. მაშინ გერმანელი ბანდიტები შეიჭრნენ მოსახლეობას გაუსწორდნენ. 11 სექტემბერს გესტაპოელებმა 100-ზე მეტი საბჭოთა მოქალაქე დააპატიმრეს და დახვრიტეს.

* * *

საფრანგეთში, ეიზორის მახლობლად, თავისუფალ მსროლელთა რაზმმა ხელთ იგდო გერმანელთა თვითმფრინავი, რომელიც იძულებით დაეშვა. ფრანგმა პატრიოტებმა გერმანელი მფრინავები დახოცეს, მათი იარაღი წაიღეს, ხოლო ბომბდამშენი დასწვეს.

30 სექტემბრის საღამოს ცნობა

30 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან **სტალინგრადის რაიონში** და **მოზდოკის რაიონში.** სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა გემმა ბალტიის ზღვაში ჩასძირა გერმანელთა ტრანსპორტი 10.000 ტონა წყალწყვისა.

* * *

29 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 10 ტანკი, 20-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 15 საზიდარი სამხარ მასალიანად, გაფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს ერთ ბატალიონამდე მტრის ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის რაიონში გააფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა. ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ განაპირა უბანში გერმანელებმა კიდევ ერთი სატანკო დივიზია გადმოიყვანეს შეტევაზე. მოწინააღმდეგემ ერთ უბანზე დიდი ზარალის ფასად შეავიწროვა ჩვენი ნაწილები. ამ ბრძოლების მსვლელობაში მოსპობილია მტრის 15 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 14 ავტომანქანა, 2 ნაღმსატყორცნი ბატარია და 2 ბატალიონამდე გერმანელთა ქვეითი ჯარი.

საბჭოთა მფრინავები თავდადებულად ებრძვიან გერმანელთა ავიაციის რიცხობრივად ჭარბ ძალებს. უმცროსმა ლეიტენანტმა კოჩეტოვმა ერთი დღის განმავლობაში ჩამოაგდო „იუნკერს 87" და „მესერშმიტ-109". მტრის ორი ავიაგამანადგურებელი მოსპო ზემდეგმა გულტიაევმა. ლეიტენანტმა ფედოროვმა ორი დღის განმავლობაში ჩამოაგდო „მესერშმიტ-109" და „მაკი-200". გარდა ამისა, ამხ. ფედოროვმა და ზემდეგმა სმირნოვმა ერთად მოსპეს „იუნკერს-88".

* * *

სტალინგრადის ჩრდილოეთ-დასავლეთით შეუპოვარი ბრძოლები გრძელდებოდა. გერმანელმა მეავტომატეებმა ტანკების დახმარებით იერიში მოიტანეს ზღუდეზე, რომელსაც 6 მსროლელი ნაწილი იცავს. ჩვენი მებრძოლები ტანკსაწინააღმდეგო თოფებისა და ტყვიამფრქვევთა ცეცხლით შეხვდნენ ჰიტლერელებს. მტერმა დაკარგა ორი ტანკი და 100-მდე ჯარისკაცი მოკლულთა სახით და უკან დაიხია. სხვა უბანზე მთელი დღის განმავლობაში სწარმოებდა გააფთრებული ბრძოლები ერთი მაღლობისათვის. ჩვენმა ნაწილებმა სძლიეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა და დღის დასასრულს დაიკავეს ეს მაღლობი. ჰიტლერელებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

* * *

მოზდოკის რაიონში მტრის მოტოქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები ცდილობდნენ გაერღვიათ ჩვენი თავდაცვითი ზღუდეები. ჩვენმა ჯარებმა გერმანელთა ყველა იერიში მოიგერიეს. ამ უბანზე ორი დღის ბრძოლების დროს დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 26 ტანკი და დახოცილია მტრის 1.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. საჰაერო ბრძოლებში და მტრის აეროდრომებზე მოსპობილია გერმანელთა 18 თვითმფრინავი.

* * *

ნოვოროსიისკის სამხრეთ - აღმოსავლეთით ჩვენმა ნაწილებმა მტრის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლებში გაანადგურეს რუმინელთა მე-3 სამთო-მსროლელი დივიზია, რომელმაც 8.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. მოსპობილია 25 ქვემეხი, 7 ტანკი, 75 ტყვიამფრქვევი, 50 ავტომანქანა და საომარ მასალათა ორი საწყობი. წამოღებულია დავლა.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა რუმინელ ჯარისკაცთა ოცეული. ოცეულის მეთაურმა უმცროსმა ლეიტენანტმა გრიგორე პრობაუმ განაცხადა: „ჩვენს დივიზიას თავდაცვა ეკავა. 22 სექტემბერს რუსები შეტევაზე გადმოვიდნენ. ჩვენმა ბატალიონმა ვერ გაუძლო რუსების მოძალებას და პირველი დარტყმის შემდეგვე უკან დაიხია, ამასთან დიდი ზარალი მოუვიდა. მე წინადადება მივეცი ჩვენი ოცეულის ჯარისკაცებს დარჩით და ტყვედ დანებდით მეთქი. ჯარისკაცებმა ერთსულოვნად დამიჭირეს მხარი. ჩვენ კიდევ 6 ჯარისკაცი შემოგვიერთდა სხვა ოცეულებიდან. რუმინელებს სძულთ გერმანელები [illegible], ახლა კი მთლად დაიმონეს რუმინეთი".

* * *

იტალიელთა „ტორინოს" 81-ე დივიზიის პოლკის მეორე ასეულის ტყვედ წამოყვანილმა ლეიტენანტმა დარიო აგოსტინიმ განაცხადა: „ამჟამად იტალიელი ჯარისკაცები და ოფიცრები ბევრს ლაპარაკობენ ზამთარზე. ყველას ძალიან ეშინია რუსული ზამთრისა. ჩვენ ზამთრის ტანსაცმელი არ მოგვეპოვება. შარშან აღმოსავლეთის ფრონტზე მყოფ ყველა იტალიელ ჯარისკაცთა 60 პროცენტზე მეტი ყინვამ დააზრო. ბევრი ყინვისაგან დაიღუპა. ჯარისკაცებს თავზარსა სცემს იმის ფიქრი, რომ ჩვენც ასეთი ხვედრი მოგველის".

* * *

ქალაქ კრასნისტავის (პოლონეთი) ახლოს ჰიტლერელებმა პურის სალეწად მორეკეს 200-ზე მეტი გლეხი გერმანელი მემამულის მამულში. ღამით გლეხებმა დაამტვრიეს ორი სალეწი მანქანა, ცეცხლი წაუკიდეს რამდენიმე ზვინ გაულეწავ პურს და მიიმალნენ.

* * *

ქალაქ ოსნაბრიუკში (გერმანია) ჯერ კიდევ ივნისში უკვალოდ დაიკარგა ავიაციის ბომბის ქარხანაში მომუშავე 18 იტალიელი. როგორც ახლა გამოირკვა, იმათ გესტაპომ ბრალად დასდო საბოტაჟი, დააპატიმრა და დახვრიტა. ამ მუშების ნათესავებმა იტალიაში დღემდე არაფერი იციან მათი ბედის შესახებ.

ბრძოლები ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ჩვენმა ნაწილებმა რუმინეთის მე-3 სამთო-მსროლელი დივიზია გაანადგურეს

მოქმედი არმია, 30 სექტემბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ნოვოროსიისკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში სასტიკი ბრძოლები გრძელდებოდა. გერმანელებმა მნიშვნელოვან ძალებს მოუყარეს თავი და იერიში მოიტანეს საბჭოთა ნაწილების მიერ დაკავებულ ზღუდეებზე. ჩვენმა მსროლელმა და საზღვაო ქვეითმა ჯარმა წარმატებით მოიგერიეს მტრის მრავალი იერიში, ხოლო შემდეგ სწრაფ კონტრიერიშზე გადავიდნენ.

ფაშისტების მიერ დაწყებული შეტევა იმით დამთავრდა, რომ სავსებით განადგურებულ იქნა რუმინეთის მე-3 სამთო-მსროლელი დივიზია, რომელიც ეს არის ახლა ჩამოვიდა ფრონტზე და რომელმაც, არასრული ცნობებით, 8.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ჩვენმა ნაწილებმა, კონტრიერიშების შედეგად, გერმანელთა მიერ ოკუპირებული რამდენიმე დასახლებული პუნქტი გაათავისუფლეს. მტერი განდევნილია უმნიშვნელოვანესი მაღლობებიდან. ბრძოლების მსვლელობაში მოსპობილია მტრის 75 ტყვიამფრქვევი, 25 ქვემეხი, 7 ტანკი, 50 ავტომანქანა ტვირთიანად და ქვეითი ჯარიანად, 30 მოტოციკლი, აფეთქებულია 2 საწყობი საომარ მასალიანად. ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს 300 ტყვე და დავლა—82 ტყვიამფრქვევი, 50 ნაღმსატყორცნი, 1.000-ზე მეტი შაშხანა, 2.000 ნაღმი და მრავალი ავტომატი.

ტყვეების ჩვენებით, რუმინელთა მე-3 სამთო-მსროლელი დივიზია რუმინეთიდან ივლისის დამლევს გამოვიდა. იგი რკინიგზით მოიყვა ქერჩამდე და სექტემბრის დამლევს გადაყვანილ იქნა ტამანს. ფრონტზე ეს დივიზია გამოჩნდა 15 და 20 სექტემბერს შუა და ნოვოროსიისკის მიმართულებით შესცვალა იქიდან წაყვანილი გერმანელთა ნაწილები.

ბრძოლის დროს ჩვენს მხარეზე გადმოვიდა ამ დივიზიის მე-12 ბატალიონის პირველი ასეულის მე-2 ოცეული. ოცეულის მეთაურმა გრიგორე პრობაუმ განაცხადა, რომ როდესაც რუმინელთა დივიზიის ნაწილებმა ჩვენი ქვეითი ჯარის მიძალების გამო უკან დახევა იწყეს, მისმა ოცეულმა ტყეს შეაფარა თავი, ხოლო შემდეგ ნებაყოფლობით დანებდა ტყვედ.

ჩვენი ნაწილები აქტიურად მოქმედებდნენ სხვა უბნებზედაც. ჩ. პუნქტის ახლოს ორი დღის ბრძოლებში 6 ნაწილის გვარდიელებმა გაჟლიტეს 300-მდე ჰიტლერელი, დაამარცხეს გერმანელთა საარტილერიო ბატარია და ჩააჩუმეს ორი ნაღმსატყორცნი ბატარია. საბჭოთა მფრინავებმა მოსპეს მტრის 20-მდე ავტომანქანა ქვეითი ჯარიანად და ტვირთიანად, გაფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მტრის [illegible] ასეულამდე ქვეითი ჯარი. მეზღვაურთა ჯგუფმა ამხ. გორდეევის მეთაურობით მძრძანებელი მაღლობისათვის ბრძოლებში გაანადგურა რუმინელთა ბატალიონი, ხელთ იგდო ამ ბატალიონის დროშა, მნიშვნელოვანი დოკუმენტები და ტყვეები.

კ. პუხოვი

წითელარმიელ კაკაშვილის სიმამაცე

მოქმედი არმია („კომუნისტის" კორესპონდენტისაგან). მზვერავმა კაკაშვილმა ხევში შეამჩნია შენიღბული მტრის მეტყვიამფრქვევე. იგრიალა მარჯვე გასროლამ, ჰიტლერელმა ხელები გაშალა და მიწას გაერთხა. ტყვიამფრქვევთან მეორე გერმანელი მივიდა. კაკაშვილმა დაკვირვებით დაუმიზნა და ეს ფაშისტიც მოსპო. მაშინ ტყვიამფრქვევისაკენ გააფთრებულ ჰიტლერელთა უკვე მთელი ჯგუფი გაეშურა.

გვიანღა იყო! უშიშარმა მეომარმა დასწრო მტრებს. კაკაშვილმა გერმანელებზე ბდრე მიაღწია ტყვიამფრქვევამდე და ტყვიის ნიაღვარი დააყარა ფაშისტებს.

მარჯვე მზვერავი თავის ნაწილში დაბრუნდა ნადავლით: ხელტყვიამფრქვევით, ავტომატით, ექვსი გრანატით და მის მიერ მოკლულ გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა დოკუმენტებით.

წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

მივცეთ მეტი პროდუქცია, მეტი სურსათი და ნედლეული ჩვენს ქვეყანას, ფრონტს!

მეტი და მაღალხარისხოვანი თამბაქო

სოხუმი („კომუნისტის" კორ.). აფხაზეთის ასსრ მეთამბაქოე კოლმეურნეები, რომელნიც ჩაებნენ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, დიდი სამამულო ომის დღეებში დაუღალავად მუშაობენ, რომ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მისცენ მეტი და მაღალხარისხოვანი თამბაქო.

ოჩამჩირის რაიონის სომხური ათარის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელსაც 155 ჰექტარი თამბაქოს პლანტაცია აქვს, წარმატებით სწარმოებს თამბაქოს მოსავლის აღება. აქ უკვე შეტეხეს და აცვეს ნახევარ მილიონზე მეტი ზონარ-მეტრი თამბაქოს ფოთოლი. ყველაზე უკეთ ეს მუშაობა მოაწყო მეშვიდე ბრიგადამ, რომელსაც ამხ. ღ. ზებელიანი ხელმძღვანელობს. მან 70.000-ზე მეტი ზონარ-მეტრი თამბაქო შეტეხა. ბრიგადის ცალკეულ ნაკვეთებზე მიმდინარეობს თამბაქოს ფოთლის მე-5 და მე-6 შეტეხა. ამ ბრიგადამ სახელმწიფოს უკვე ჩააბარა 2 ტონაზე მეტი თამბაქო.

ამავე კოლმეურნეობაში თვალსაჩინოდ მუშაობს მეთამბაქოეთა მე-8 ბრიგადა, რომელსაც ამხ. ბ. კრბაშიანი მეთაურობს. ბრიგადა უკვე ამთავრებს თამბაქოს შეტეხის წლიურ გეგმას.

თამბაქოს მოსავლის აღების, მოვლისა და სახელმწიფოსათვის დროზე ჩაბარების კარგ მაგალითს იძლევა სოხუმის რაიონის გულრიფშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მე-7 ბრიგადა, რომელსაც ამხ. სირანუშ პოლოკიანი ხელმძღვანელობს. იგი მოწინავეა მთელს კოლმეურნეობაში. ბრიგადამ კარგი მოვლით თამბაქოს შესანიშნავი მოსავალი მიიღო და უკვე ამთავრებს დანიშნულ ვადებში მის აღებას. განსაკუთრებით სანიმუშოდ მუშაობს ბრიგადის მე-3 რგოლი, რომელმაც გასულ წელს ერთი ტონით გადააჭარბა თამბაქოს ჩაბარების სახელმწიფო გეგმას და მიმდინარე წელსაც აჭარბებს მას.

ამჟამად აფხაზეთის კოლმეურნეობებში ფართოდ არის გაშლილი წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეები იღებენ დამატებით ვალდებულებებს, პრაქტიკულად მუშაობენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. აფხაზეთის მშრომელები წელს სახელმწიფოს მისცემენ გაცილებით მეტ და მაღალხარისხოვან თამბაქოს.

გ. მერკვილაძე

წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს

ალტაელ კოლმეურნეთა მოწოდებას გურჯაანის რაიონის სოფ. ურიათუბნის კოლმეურნეობის წევრები მხურვალედ გამოეხმაურნენ და ჩაებნენ წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში. სოფ. ურიათუბნის კოლმეურნეობა „სოციალიზმის გზაზე" (თავმჯდომარე ს. პაიჭაძე) წარმატებით მიმდინარეობს ყურძნის კრეფა. ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 70 ცენტნერი ყურძენი, ხოლო ს. მუხაშვილის ბრიგადაში ჰექტარზე 80 ცენტნერი. კოლმეურნეობა „წითელმა ვარსკვლავმა" დაამთავრა ყურძნის კრეფა და შეასრულა ჩაბარების გეგმა. ასევე კარგად იმუშავეს კოლმეურნეობა „წითელ უბანშიც", სადაც განსაკუთრებით ისახელა თავი ვანო დათუნაშვილის ბრიგადამ (ჰექტარზე საშუალოდ 70 ცენტნერი ყურძენი მიიღო).

სოფ. ურიათუბნის კოლმეურნეობა „სოციალიზმის გზაზე" წარმატებით იღებენ სიმინდის მოსავალსაც. სულ მოკლე დროში კოლმეურნეებმა სიმინდი 15 ჰექტარზე აიღეს. მოსავალი კარგია.

ს. შაქარაშვილი

გეგმების შესრულება

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და ჩაბარების წლიური გეგმა 27 სექტემბრისათვის 100.3 პროცენტით შეასრულეს. ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მდივანი **დ. გაბრიაძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **დ. მაღლაფერიძე**

* * *

წულუკიძის რაიონმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და დამზადების წლიური გეგმა 30 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა. გეგმით უნდა დამზადებულიყო 1.960 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ფაქტიურად დამზადებულია 1.964 ტონა. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა წარმატებით გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივანი **გორგიძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **კოჩეშავიძე**

* * *

ხობის მტს-მა ჩაის კულტივაციის გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე 219 პროცენტით შეასრულა, კულტივაცია ჩატარებულია 666 ჰექტარზე. ალტაელ კოლმეურნეთა, ტრაქტორისტთა და კომბაინერთა მოწოდების პასუხად მტს-ის კოლექტივი ჩაება წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა გეგმის გადამეტებით ჩაატაროს მზრალად ხვნა 150 ჰექტარზე, ჩაის პლანტაცია ღრმად გააფხვიეროს 140 ჰექტარზე, გაღეწოს 100 ტონა მოსავალი, უზრუნველჰყოს საწვავის ეკონომია 10 პროცენტის რაოდენობით.

ხობის მტს-ის დირექტორი **სალაია**
პოლიტგანყოფილების უფროსი **ქვარაცხელია**

* * *

ლაგოდეხის მტს-მა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის გალეწვის 1942 წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა—ნაცვლად 80.400 ცენტნერისა გალეწა 82.490 ცენტნერი.

მტს-ის დირექტორი **პატიაშვილი**
პოლიტგანყოფილების უფროსი **ხიდაშელი**

საქონელბრუნვის მესამე კვარტალის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს

თბილვაჭრობის მუშაკთა კოლექტივმა წინასაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმისას აიღო ვალდებულება საქონელბრუნვის მესამე კვარტალის გეგმა 29 სექტემბრისათვის შეესრულებინა. ეს ვალდებულება თბილვაჭრობის სისტემის მუშაკებმა ერთი დღით ადრე განაღდეს, — საქონელბრუნვის მესამე კვარტალის გეგმა 70.500 ათასი მანეთის რაოდენობით შესრულებული იყო 28 სექტემბრისათვის.

გააფთრებული ბრძოლები სტალინგრადისათვის

მოქმედი არმია, 30 სექტემბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ქალაქი ადრე დილიდანვე ცეცხლსა და კვამლშია გახვეული. მტრის თვითმფრინავები გუნდ-გუნდად სერავენ ცას, წარამარა მოდიან მორიგი დაბომბვისათვის. ბომბის მოხვედრის ხმა ერთვება ჩვენი და ფაშისტების საველე და საზენიტო არტილერიის განუწყვეტელ გრიალს და ერთ მთლიან გუგუნად იქცევა. თავზე სტვენით მიჰქრის ნაღმები, რომლებიც სადღაც განზე სკდება.

მტერმა გუშინ რამდენჯერმე მოიტანა იერიში ჩვენს პოზიციებზე. გუშინ მთელ დღეს სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა, რომელიც არც ერთ წუთს არ შეწყვეტილა ღამითაც. დღეს დილიდანვე ბრძოლამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. სტალინგრადის დამცველნი განსაკუთრებული შეუპოვრობითა და მედგრობით იგერიებენ ფაშისტების იერიშებს და ხშირად თვითონ მიაქვთ კონტრიერიში მტრის ზღუდეებზე.

ქუჩებში გაკეთებულ ბარიკადებზე წითელარმიელებთან ერთად ქალაქს მოლაშქრე მუშებიც იცავენ. ბრძოლები ხშირად ხელჩართულ შეტაკებად გადაიქცევა ხოლმე, რომელშიც ქარხნის მუშების შვილები თავიანთ მამებთან მხარდამხარ იბრძვიან.

გერმანელებმა უდიდესი მსხვერპლის ფასად წინ წამოიწიეს ათობით და აქა-იქ ას-ორას მეტრზე, ყოველი მეტრი მიწა, რომელიც მოფენილია აგურებისა და ლითონის ნამტვრევებით, თავიანთი ჯარისკაცების გვამების ფასად დაუჯდათ. მარტო მბრძანებელი მაღლობის ფერდობებზე ფაშისტებმა 700 მოკლული და დაჭრილი დასტოვეს, ხოლო საქარხნო რაიონის მისადგომებზე გერმანელებმა ერთ დღეს დაჰკარგეს სულ 1.500 ჯარისკაცი და ოფიცერი და 29 ტანკი.

სტალინგრადის სამხრეთით გუშინ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები იყო. ჩვენი ჯარები წარმატებით იგერიებდნენ მტრის ყველა იერიშებს, ზოგჯერ კონტრიერიშზე გადადიოდნენ და მტრის დასაყრდენ პუნქტებს იკავებდნენ. ამ უბანზე ერთმა ჩვენმა ნაწილმა დახოცა 150 ფაშისტი, მეორე ნაწილმა სულ მთლად გაჟლიტა მტრის ასეული. ქალაქის უბნები დანგრეული შენობების გროვას წარმოადგენენ. ქუჩები გადათხრილია ბომბებითა და ყუმბარებით. ამჟამად გერმანელები საკუთარ თავზე განიცდიან ჩვენი ბომბების დარტყმების ძალას. გუშინ ერთი დღის განმავლობაში 6 საავიაციო ნაწილის მფრინავებმა მოსპეს 8 ტანკი, 24 ავტომანქანა და 3 ბენზინის ცისტერნი, 8 საპროჟექტორო დანადგარი, ააფეთქეს საწყობი საომარ მასალიანად.

ვითარება სტალინგრადში წინანდებურად სერიოზულია. ქალაქის დამცველები ურყევი არიან, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან თითოეული სახლი, თითოეული მეტრი ქვაფენილი. კომკავშირელმა სტეგნიენკომ უთანასწორო ბრძოლაში დააზიანა ერთი ტანკი და მოჰკლა 6 გერმანელი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი. მზვერავმა გრიშმანმა 10 ფაშისტი მოჰკლა, მეავტომატე სერჟანტმა კურიშევმა 30 ჰიტლერელი დახოცა; მეტყვიამფრქვევე ათანასე ერმაკოვი ერთ-ერთ უკანასკნელ ბრძოლაში, როცა მისი ტყვიამფრქვევი გამოყვანილ იქნა მწყობრიდან, სასანგრო ნიჩბით გაეშურა ჩვენი მებრძოლების საშველად, რომელთაც გარს შემოერტყა მტერი. სასანგრო ნიჩბით მან ორი ჯარისკაცი და ოფიცერი მოჰკლა. მეტყვიამფრქვევე ერმაკოვმა 17 დღის განმავლობაში 300-მდე ფაშისტი გაჟლიტა.

ლ. შჩუკინი

მტრის იერიშები მოგერიებულია

მოქმედი არმია, 30 სექტემბერი (საქდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მოზდოკის რაიონში ბრძოლები სულ უფრო და უფრო სასტიკ ხასიათს იღებს. მტერს განუწყვეტლივ გამოჰყავს სულ ახალ-ახალი რეზერვები და მაშინვე ბრძოლაში ჰგზავნის. ჩვენი ჯარები გერმანელთა იერიშებს იგერიებენ და დიდ ზარალს აყენებენ მათ.

ორი დღის განმავლობაში ჩვენმა ქვეითმა ჯარმა არტილერიასთან ურთიერთმოქმედებით მტრის 1.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტა. მოსპობილია 26 ტანკი, 19 ტყვიამფრქვევი, 13 ავტომანქანა და 3 მოტოციკლი. საჰაერო ბრძოლებში მტერმა 13 თვითმფრინავი დაჰკარგა.

უკანასკნელ ბრძოლებში განსაკუთრებული მედგრობა გამოიჩინეს იმ ბატალიონის მებრძოლებმა, რომლის კომისარიც არის ამხ. სვანიძე. ეს ბატალიონი ტაქტიკური მხრივ მნიშვნელოვან ზღუდეს იცავს. გერმანელებმა უკვე რამდენჯერმე სცადეს ხელთ ეგდოთ ეს ზღუდე, მაგრამ ჩვენი მებრძოლნი მუდამ უკუაქცევდნენ მათ დარტყმით. ამჯერად ჩვენი ბატალიონის წინააღმდეგ გერმანელებმა გაძლიერებული ოფიცერთა ბატალიონი გამოუშვეს. ეს ბატალიონი შერჩეული თავზეხელაღებული ხალხისაგან შესდგება. ოფიცერთა ბატალიონის შეტევას ტანკები უწევდნენ დახმარებას. სვანიძის მებრძოლებმა ახლო მოუშვეს მტრის მანქანები ტანკსაწინააღმდეგო სიფარებთან და გრანატებითა და საწვავსითხიანი ბოთლებით დახვდნენ. მტრის ტანკებმა, რომელთაც მაგარი დარტყმა იგემეს, უკან დაიხიეს და დაუცველი დასტოვეს თავიანთი ჯარი. ჩვენმა ქვეითმა ჯარმა გრიგალისებური სროლა აუტეხა გერმანელების ოფიცერთა ბატალიონს. ჰიტლერელებმა მარტო მოკლულთა სახით 200 კაცი დაჰკარგეს და თავდაპირველ ზღუდეებისაკენ უკუიქცნენ.

გ. ოშაროვსკი

მოქმედი არმია. სურათზე: ნ ქვეგანაყოფი იერიშზე მიდის. წინა პლანზე თავდაცვის ხაზი.

ფოტო ა. გრიბოვსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

ახალი სასწავლო წელი დაიწყო

სტალინის სახელობის უნივერსიტეტში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ყველა ღონისძიება განახორციელა სტუდენტთა ახალი კონტინგენტის მიღების უზრუნველსაყოფად. ახალი მიღების კონტინგენტი განსაზღვრული იყო უნივერსიტეტისათვის 800 კაცის რაოდენობით. სულ კი შემოტანილ იქნა 1.500-მდე განცხადება. ამრიგად, უნივერსიტეტს ფართო შესაძლებლობა ჰქონდა მსურველთა შორის შეერჩია საუკეთესო კონტინგენტი, რომლის მიღება დასრულებულ იქნა 1 აგვისტოსათვის.

დროულად შეუდგა უნივერსიტეტი აგრეთვე პროფესორ-მასწავლებელთა შტატის დაკომპლექტებას. სასწავლო მუშაობაში საუკეთესო პედაგოგიური კადრების ჩაბმის მიზნით გამოცხადებულ იქნა კონკურსი დოცენტების თავისუფალ თანამდებობათა დასაკავებლად ახალ ისტორიაში, დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიაში, სამართლის ისტორიაში, ზოგად მათემატიკაში და სხვ. კონკურსის შედეგად უნივერსიტეტის კვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა კიდევ უფრო გაძლიერდა.

დიდი წინასწარი მუშაობა ჩაატარა უნივერსიტეტმა ახალი სასწავლო გეგმების შედგენისათვის. გასულ წელს უნივერსიტეტი მუშაობდა 3-წლიანი სასწავლო გეგმების საფუძველზე. საკავშირო ორგანოების დადგენილებით 1942-43 წლიდან კვლავ განახლებულ იქნა 5-წლიანი სასწავლო გეგმა. ამან გამოიწვია ძველი გეგმების გადამუშავება და ახლის შედგენა. ეს გეგმა შედგენილია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საჭიროების საფუძველზე. 15 აგვისტოსათვის უნივერსიტეტს უკვე შედგენილი ჰქონდა როგორც სტაბილური გეგმები, ისე გარდამავალი სამუშაო გეგმებიც.

სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან პროგრამებით.

ოქტომბერში დანიშნულია განმეორებითი გამოცდები იმ სტუდენტთათვის, რომელთაც საზაფხულო სესიებზე საგნები ჩაუბარებელი დარჩათ. ეს ხელს შეუწყობს აკადემიური დავალიანების ლიკვიდაციას. ოქტომბრის განმავლობაში რიგ გარეშე ჩატარდება სახელმწიფო გამოცდები, რის შედეგადაც ჩვენი სახალხო მეურნეობა და საშუალო სკოლები ახალ ათეულ და ასეულ მომზადებულ მუშაკებს მიიღებენ.

უნივერსიტეტის მატერიალური ბაზაც მომზადებული ხვდება ახალ სასწავლო წელს. აუდიტორიები განაწილებულია სასწავლო განრიგებათა შესაბამისად. აუდიტორიების ფონდი მაქსიმალურად არის გამოყენებული. სტუდენტთა მიღებისათვის მზად არის უნივერსიტეტის მრავალი ლაბორატორია, კაბინეტი, სამკითხველო დარბაზი და ბიბლიოთეკა.

30 სექტემბერს შესდგა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა საერთო კრება, რომელზეც განხილულ იქნა მომავალი სასწავლო წლის წარმატებით დაწყებასთან დაკავშირებული საკითხები, წინასაოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხი და სხვ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მომზადებული ხვდება ახალ სასწავლო წელს, იმ დიდი მოვალეობის სრული შეგნებით, რომელსაც მას საბჭოთა ქვეყანა აკისრებს პირსისხლიან ჰიტლერის ურდოებთან საბჭოთა ხალხის სამამულო ომის პირობებში.

მომზადებული ვხვდებით ახალ სასწავლო წელს

პირველ ოქტომბერს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში იწყება ახალი სასწავლო წელი. მეცადინეობა იწარმოებს ახალი სასწავლო გეგმით, რომელიც უკვე მიღებული გვაქვს. ახალი გეგმით ინსტიტუტში სწავლის კურსი ხუთწლიანია.

საექიმო კადრების მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ახალ სასწავლო გეგმაში შესაბამისად არის გაძლიერებული ისეთი სასწავლო დისციპლინები, როგორიც არის ანატომია, ფიზიოლოგია, თერაპია და ქირურგია. ქირურგიაში დიდი ყურადღება ექცევა მთელ რიგ ისეთ დისციპლინებს, როგორიც არის სამხედრო-საველე ქირურგია, ორთოპედია, ყბა-სახის ქირურგია და სხვ. გაძლიერებულია ლათინური ენის სწავლების გეგმა. სამკურნალო ფიზკულტურა, როგორც კლინიკური დისციპლინა, შეტანილია ჰოსპიტალური თერაპიის დამოუკიდებელ კურსად. რეცეპტურის უკეთ სწავლების მიზნით შემოღებულია კლინიკური ფარმაკოლოგიის დამოუკიდებელი კურსი და სხვ.

წელს სამედიცინო ინსტიტუტში კვლავ იქმნება სამი ფაკულტეტი: სამკურნალო, პედიატრიული და სანიტარულ-ჰიგიენური.

წელს სამედიცინო ინსტიტუტი მეცადინეობას იწყებს ახალ შენობაში, სადაც დირექციასთან ერთად მოთავსებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი კათედრები, მათ შორის მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კათედრა, მედიცინის ისტორიის კათედრა და სხვ.

კათედრების შენობები, სასწავლო დარბაზები და სასწავლო ინვენტარი წესრიგშია მოყვანილი. ინტენსიურად მიმდინარეობს სასადილოს ახალი შენობის შეკეთება. სტუდენტებს მოემსახურება ორი დახურული სასადილო, კათედრებთან მოეწყობა ბუფეტები. ყველა კათედრა და საერთო საცხოვრებლები უზრუნველყოფილია გათბობით.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ მომზადებულია და გადაცემულია დასაბეჭდად სტუდენტებისათვის საჭირო სახელმძღვანელოები. მათ შორის აღსანიშნავია მეცნ. დამს. მოღვაწის, პროფ. ვლ. ჟღენტის პათოლოგიური ანატომიის სახელმძღვანელო, მეცნ. დამსახ. მოღვაწის, პროფ. ნ. ყიფშიძის შინაგან სნეულებათა სახელმძღვანელო და სხვ.

სამედიცინო ინსტიტუტში მიღება უკვე დამთავრდა. 550 ადგილზე წელს სამედიცინო ინსტიტუტში შემოტანილი იყო 2.300-ზე მეტი განცხადება.

სამედიცინო ინსტიტუტის ყველა კურსის სტუდენტები მოუთმენლად ელიან მეცადინეობის დაწყებას. სტუდენტებთან ერთად მეცადინეობის დასაწყებად მზად არიან ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და ყველა მუშაკები. სამედიცინო ინსტიტუტის სამიათასიანმა კოლექტივმა კარგად იცის, რომ ჩვენ მუშაობა გვიხდება დიდი სამამულო ომის პირობებში, როდესაც პირსისხლიანი ფაშიზმი ლამობს წაგვართვას თავისუფლება, ადამიანური ღირსება და ყველაფერი ის, რაც გმირული, თავდადებული შრომით შეუქმნია საბჭოთა ხალხს. ამიტომ ჩვენ კიდევ უკეთ უნდა ვიმუშაოთ, უნდა დავეუფლოთ სამხედრო ცოდნას.

პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ინსტიტუტში მიმდინარეობს სერიოზული საკვლევო-სამეცნიერო მუშაობა. საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ საკვლევო-სამეცნიერო მუშაობა, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, ხოლო მუშაობის შედეგი დაუყოვნებლივ გამოვიყენოთ როგორც თავდაცვის საქმეში, ისე ზურგის სანიტარული კეთილდღეობისათვის.

სასწავლო წლის დაწყების წინ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში. სოცშეჯიბრებაში ჩაბმული ვართ ბაქოსა და ერევნის სამედიცინო ინსტიტუტებთან.

სამედიცინო ინსტიტუტის პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ინსტიტუტში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ დანერგვის საქმეში.

წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტმა სოციალისტურ სამშობლოს მისცა ოთხასზე მეტი ახალკურსდამთავრებული საბჭოთა ექიმი.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მთელი კოლექტივი დაძაბულად და თავდადებული შრომით მაღალხარისხოვნად ჩაატარებს მომავალ სასწავლო წელს და სამშობლოს მოუმზადებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე საბჭოთა ექიმებს, მგზნებარე პატრიოტების ახალ კადრებს.

პროფ. კ. ერისთავი

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ვიწყებთ სწავლას

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება გვიხდებოდა იმ დროს, როდესაც ჩვენი სამშობლო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს პირსისხლიანი ჰიტლერელების წინააღმდეგ. სამამულო ომმა ახალი ამოცანები დასახა სკოლის წინაშე.

გასულ წელს ჩატარებული მუშაობის საფუძველზე მიღებულმა გამოცდილებამ საშუალება მოგვცა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დროს გაგვეთვალისწინებინა ყველაფერი, რაც აუცილებელია სწავლებისათვის საომარ პირობებში.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხანძარსაწინააღმდეგო და თავდაცვითს მუშაობას. ჩავატარეთ აირწინაღების საკონტროლო შემოწმება, სკოლის ყველა თანამშრომელმა გაიარა ხანძარსაწინააღმდეგო ტექმინიმუმი და სხვ.

სკოლას გაუკეთდა მიმდინარე რემონტი, შეკეთებულია მერხები, სკამები, დაფები, კარადები, მაგიდები და სხვ. მოეწყო სამხედრო კაბინეტი; ახალი მოწყობილობით შევავსეთ ფიზკულტურის დარბაზი, ქიმიის, ფიზიკის, გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების კაბინეტები. სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით სკოლა სავსებით უზრუნველყოფილია. სკოლა აგრეთვე უზრუნველყოფილია სათბობით. უკვე მიღებული გვაქვს 70 კუბური მეტრი შეშა.

სკოლას შემუშავებული აქვს წლიური სასწავლო-სააღმზრდელო გეგმა. კლასების ხელმძღვანელების მიერ შედგენილია მეოთხედური სამუშაო კალენდარული გეგმები. აგრეთვე დამტკიცებულია ყველა საგნის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი კალენდარული გეგმები.

1 ოქტომბერს დაწყებითი კლასების მოსწავლეებს უერთდებიან მათი უფროსი ამხანაგები, რომლებიც ბრუნდებიან სოფლებიდან, საკოლმეურნეო მინდვრებიდან, შრომისა და დასვენების შემდეგ. ზაფხულის პერიოდში ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურად ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებს როგორც ინდივიდუალური წესით, ისე ბრიგადის სახით. ბრიგადამ საუკეთესო შედეგი მოგვცა. ბრიგადის წევრებმა გამოიმუშავეს 1.014 შრომადღე.

მოწინავე მოსწავლეებმა საკოლმეურნეო მინდვრებზეც გამოამჟღავნეს მუშაობის საუკეთესო ნიმუშები. ესენი არიან: ჯ. აბდალაძე, გ. აროშიძე, თ. მოსაშვილი, ლ. ბარტყულაშვილი, თ. დემეტრაშვილი, ი. აფხაზავა, მ. წერეძე, ე. ბასილაძე და სხვ.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენ მოსწავლეებში უფრო ღრმად დავნერგავთ პატრიოტიზმის გრძნობას, გავაძლიერებთ მათ უსაზღვრო სიძულვილს გერმანელი ოკუპანტებისადმი და მხურვალე სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი.

ი. კოტრიკაძე

თბილისის 27-ე საშუალო სკოლის დირექტორი, მედალოსანი.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება სტალინის სახელობის ქარხანაში

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ჩატარდა ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა ქარხნის უფროსის ამხ. დ. ქიქინაძის მოხსენება შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქარხანაში განმტკიცდა შრომის დისციპლინა, ამაღლდა წარმოების მეთაურების როლი და მუშების პასუხისმგებლობის გრძნობა. მაგრამ ამასთანავე ქარხნის ზოგიერთ საამქროში ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებს. საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა განსაკუთრებით ახალგაზრდა მუშებს შორის.

სიტყვით გამოსულმა ქარხნის კადრების განყოფილების უფროსმა ალ. მინაძაშვილმა გააკრიტიკა ზოგიერთი საამქროს უფროსისა და ოსტატის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა შრომის დისციპლინის დამყარების საქმეში.

ამწყობი საამქროს უფროსმა ერ. კოქლავაშვილმა ილაპარაკა საამქროში შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებზე და აგრეთვე შეეხო სატაბელო მეურნეობის უკეთესად მოგვარების საკითხებს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საბარგო-სავაგონო საამქროს უფროსმა გ. ბაქრაძემ, ზეინკალმა კ. ანტონოვმა, საბარგო-სავაგონო საამქროს პარტბიუროს მდივანმა ხუციშვილმა, ამწყობი საამქროს საკომპლექსო ბრიგადის ბრიგადირმა ალ. ერანოსოვმა, ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა პ. გელაშვილმა, საქვაბე საამქროს უფროსმა კ. კანუკოვმა, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ლენინის რაიკომის მდივანმა ი. გეტაშვილმა და ქარხნის პარტკომის მდივანმა ი. ნეფარიძემ.

კრებამ მხილებულ ნაკლთა აღმოსაფხვრელად და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

უკანასკნელი ცნობები

ოპერაციები მადაგასკარზე

ლონდონი, 30 სექტემბერი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ დილით ინგლისის ჯარები გადასხდნენ ტულეარში, მადაგასკარის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. ნავსადგური წინააღმდეგობის გაუწევლად დაიკავეს. ინგლისელთა კოლონები, რომელნიც აღმოსავლეთიდა და დასავლეთიდან მიიწევენ ტანანარივე-ბრიკავილის გზაზე, შეერთდნენ და დაიკავეს მადაგასკარის მთავარი სარკინიგზო ხაზი. ინგლისის ჯარებმა წაიწიეს აგრეთვე დედაქალაქის სამხრეთით, წააწყდნენ უმნიშვნელო წინააღმდეგობას. გრძელდება წინსვლა ანტსირაბესაკენ.

შუასაუკუნეობრივი წესით სიკვდილით დასჯა გერმანიაში

ლონდონი, 30 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ამას წინათ ფრანკფურტის სასამართლომ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა გერმანიის 7 მოქალაქეს, რომელთაც ბრალად ედებოდათ „სახელმწიფოს ღალატი და გერმანიის ხალხის წინააღმდეგობის ძალის შერყევის ცდა". შვიდივეს თავი მოჰკვეთეს განაჩენის გამოტანის მეორე დღესვე.

ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 30 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ 29 სექტემბერს, ხანმოკლე შესვენების შემდეგ, კვლავ შესდგა თემთა პალატის სხდომა.

პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა თემთა პალატას აცნობა, რომ მადაგასკარის სამხრეთ ნაწილში ინგლისის ჯარს დანებდა უკანასკნელი ნავსადგური ტულეარი. მან აწერა ინგლისის ჯარების იმ ოპერაციების მსვლელობა მადაგასკარის კუნძულზე, რომლებმაც გამოიწვიეს კუნძულის დედაქალაქ ტანანარივეს დაკავება. ჩერჩილმა განაცხადა, რომ გრძელდება დევნა ვიშის მთავრობის დანარჩენი ჯარისა, რომელიც დედაქალაქის სამხრეთით იხევს. კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, მაჟუნგასა და დიეგო-სუარესს შუა, წინააღმდეგობა დაძლეულია და ახლა ამ რაიონში მშვიდობიანობა დამყარდა.

შეკითხვაზე—მართალია თუ არა, რომ ფრანგების შეიარაღებული წინააღმდეგობა მეტად სუსტი იყო, ჩერჩილმა უპასუხა: „ვფიქრობ, რომ ეს წინააღმდეგობა უმთავრესად სიმბოლიური იყო".

ჩერჩილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა თავი შეიკავონ მეორე ფრონტის გახსნის შესახებ ვარაუდების გამოთქმისაგან. როდესაც ჩერჩილს წინადადება მისცეს განცხადება გაეკეთებინა ამ საკითხზე, მან სთქვა: „ვსარგებლობ შემთხვევით, რათა ხაზგასმით აღვნიშნო, თუ რამდენად არასასურველია საჯარო განცხადებათა გაკეთება ან ვარაუდების გამოთქმა მოკავშირეთა მომავალი შეტევითი ოპერაციების მომენტისა ან პუნქტის შესახებ, თუნდაც ეს განცხადებანი და ვარაუდები მარტო კერძო ინფორმაციას არ ემყარებოდეს, როგორც, ალბათ, ჩემდამი მიმართულ შეკითხვაში მოხდაო".

პალატაში მიცემულ შეკითხვაზე, თუ რატომ არა ბომბავენ ჰაერიდან რომს, ჩერჩილმა უარი სთქვა დაემატებინა რაიმე თავის წინანდელი განცხადებებისათვის. ამ განცხადებებში ნათქვამი იყო, რომ რომს იმ შემთხვევაში დაბომბავენ, თუ კაიროსა და ათენს დაბომბავენ. „ყოველ შემთხვევაში,—სთქვა ჩერჩილმა,—ინგლისის ავიაციამ 104-ჯერ დაბომბა სამხედრო ობიექტები იტალიის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ჩატარებულ იქნა რამდენიმე საზღვაო დაბომბვა, რაშიც შედის გენუის დაბომბვა გასულ წელს და ინგლისელი პარაშუტისტების გადმოსხმა სამხრეთ იტალიაში. ჩერჩილმა აღიარა, რომ ჩრდილოეთ იტალიაში თავდასხმა არ განუცდია ჰიდროელექტრულ დანადგარებს.

როცა ჩერჩილს სთხოვეს გაეკეთებინა თემთა პალატაში განცხადება იმის შესახებ, თუ რა პოზიციას ადგას ინგლისი ვიშის მთავრობის მიმართ ლავალის სისასტიკისა და მოღალატური პოლიტიკის გამო, ჩერჩილმა უპასუხა: „ახალს ვერაფერს ვიტყვიო". დაბეჯითებით მოთხოვნის პასუხად, რომ საჭიროა კატეგორიულად დაგმოს პრემიერ-მინისტრმა ლავალიო, ჩერჩილმა უპასუხა: „ვშიშობ, რომ უკვე ამოვწურე ინგლისური ლექსიკონის მთელი რესურსები".

თურქეთის სასამართლომ გადასწყვიტა დაუსწრებლად განიხილოს პავლოვისა და კორნილოვის საქასაციო საჩივარი

ანკარა, 27 სექტემბერი (საკდესი). როგორც ცნობილია, პაპენზე ეგრეთწოდებული თავდასხმის საქმის გამო ანკარის სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულმა საბჭოთა მოქალაქეებმა პავლოვმა და კორნილოვმა მათ მიმართ გამოტანილი განაჩენი გაასაჩივრეს საკასაციო საჩივრის შეტანის გზით; საჩივარში მათ ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს მათ მიმართ გამოტანილი განაჩენის უსაფუძვლობა და უსამართლობა და მოითხოვდნენ განაჩენის გაუქმებას თავიანთი სრული უდანაშაულობის გამო.

ამასთან პავლოვი და კორნილოვი, რომელნიც პროცესზე თვითონ იცავდნენ თავს, თხოულობდნენ, რომ ისინი საკასაციო სასამართლოს სხდომაზე გაეწვიათ, რათა შესაძლებლობა ჰქონოდათ პირადად მიეცათ სასამართლოსათვის ახსნა-განმარტებანი და დაემტკიცებინათ თავიანთი უდანაშაულობა.

მიუხედავად იმისა, რომ პავლოვისა და კორნილოვის შუამდგომლობა სამართალწარმოების საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს შეესაბამება, 26 სექტემბერს ანკარის მთავარმა საკასაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება უარი უთხრას პავლოვსა და კორნილოვს სასამართლოს სხდომაზე მათი გაწვევის თხოვნის დაკმაყოფილებაზე და დაადგინა დაუსწრებლად განიხილოს პავლოვისა და კორნილოვის საკასაციო საჩივრები დახურულ სხდომაზე.

მდგომარეობა ინდოეთში

ლონდონი, 30 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ამ უკანასკნელ ხანს დემონსტრანტები კიდევ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევენ პოლიციას, ვიდრე წინათ. ბომბეიში მღელვარების დაწყებიდან დაპატიმრებულია 2.000-ზე მეტი კაცი, მათ შორის 200 ლიდერი სამოქალაქო ურჩობის კამპანიისა.

ქალაქ ბანგალორის ახლოს ჯოხებით შეიარაღებული რამდენიმე ასი კაცი თავს დაესხა პოლიციის მოხელეთა ჯგუფს. მოკლული არიან ქალაქის მმართველობის წევრი და პოლიციის ინსპექტორის თანაშემწე და დაჭრილია რამდენიმე კაცი.

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი (საკდესი). პრესის ცნობით, სოფლების ბხადრაკისა და სორის რაიონში გამართული დემონსტრაციების დროს მოკლულ იქნა 12 კაცი და დაიჭრა რამდენიმე. ახმედაბადში გაფანტულია სტუდენტთა დემონსტრაციები. პუნაში იმის გამო, რომ არეულობა გრძელდება, აკრძალულია ქუჩაში გამოსვლა განსაზღვრული დროის შემდეგ.

„მოვსპოთ გერმანელთა მომარაგების ბაზა ჩეხეთში“

გაზეთი „მლადე ჩეხოსლოვენსკო“ პარტიზანული ომისაკენ მოუწოდებს ჩეხ ხალხს

ლონდონი, 30 სექტემბერი (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „მლადე ჩეხოსლოვენსკო", რომელიც აქ გამოდის, სწერს: „ჩვენ ვიბრძვით ყველაზე უფრო გამხეცებული მტრის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოა. დღეს ჩეხეთი გერმანელთა არმიის ერთადერთი უშიშარი არსენალია, რომელიც მიუწვდომელია საჰაერო თავდასხმებისათვის. ნაცისტებმა აქ გადაიტანეს აგრეთვე გერმანელთა სარეზერვო მრეწველობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ჩეხური ეროვნული განმათავისუფლებელი ომის ძირითადი ამოცანაა მოსპოს გერმანელთა მომარაგების ბაზა ჩეხეთში. ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ უნდა გააკეთოს ყოველივე, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენი ხალხის მილიონები ჩაებან ბრძოლაში და განადგურებულ იქნას გერმანელთა სამხედრო მანქანა ჩეხეთში. უნდა მოისპოს ჩეხეთში ჰიტლერისათვის გამზადებული ჯავშნიანი მანქანები და თვითმფრინავები, მოისპოს ტრანსპორტები, რომელთაც ისინი ფრონტზე გადააქვთ, მოისპოს ხიდები ფრონტისაკენ მიმავალ გზაზე. ჩვენ ის მაინც უნდა გავაკეთოთ, რასაც აკეთებს იუგოსლავიის გმირი ხალხი, რომელიც მტრის მრავალ დივიზიას ბოჭავს თავისი პარტიზანული ბრძოლით".

პარიზში 250 ამერიკელი დააპატიმრეს

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, პარიზის პოლიციამ 250-ზე მეტი ამერიკელი დააპატიმრა. დაპატიმრებულნი გადასცეს გერმანელ ხელისუფლებს, რომელთაც მათი ინტერნირება მოახდინეს და ბულონის ტყეში არსებული ზოოლოგიური ბაღის მაიმუნების განყოფილებაში მოათავსეს.

ჰიტლერელები საზარბაზნე ხორცის ახალ-ახალ ჩაბარებას მოითხოვენ თავიანთი ვასალებისაგან

ჟენევა, 30 სექტემბერი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გასულ კვირაში გაიმართა ეგრეთწოდებული „ხორვატიის სამეფოს" და გერმანელ მესვეურთა თათბირები რუმინეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ თათბირებზე გერმანელებმა ულტიმატურად მოითხოვეს რუმინეთისა და ხორვატიისაგან ჯარების დამატებითი გაგზავნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. იმავე დროს ბერლინმა ზეგავლენა მოახდინა უნგრეთზეც.

იტალიელი ეპისკოპოსების პროტესტი სლოვენიაში იტალიის ჯარების თარეშის გამო

ლონდონი, 30 სექტემბერი (საკდესი). აქ მიღებულია ცნობა, რომ იტალიის სამმა ეპისკოპოსმა—ქალაქების ტრიესტის, გორიციისა და ფიუმეს ეპისკოპოსებმა—მუსოლინის მიმართა წერილით, რომელშიც ენერგიულ პროტესტს გამოსთქვამენ იმის წინააღმდეგ, რომ იტალიის ჯარები და შავხალათიანები ხოცვა-ჟლეტას მიმართავენ და თარეშობენ ოკუპირებულ სლოვენიაში. ეპისკოპოსები ბრალად სდებენ იტალიის საოკუპაციო ჯარებს, რომ მათ დასწვეს მთელი რიგი სოფლები, დახვრიტეს უმწეო ადამიანები და სისტემატურად სჯიან სიკვდილით მძევლებს.

სლოვენიაში ფაშისტთა ტერორი კვლავ გრძელდება. უკანასკნელი ცნობების თანახმად, დახვრეტილია 2.000-მდე მძევალი სლოვენი.

„ფასადი, რომელიც სილატაკეს ჰფარავს“

ჟენევა, 29 სექტემბერი (საკდესი). ლიონში ტრადიციული ბაზრობის გახსნაზე სიტყვა წარმოსთქვა ვიშის მთავრობის სამრეწველო წარმოების სტატს-მდივანმა ბიშელონმა. მან არ დაზოგა გერმანელთადმი მადლობის გამომხატველი მაამებელი სიტყვები „ბაზრობის საბჭოსათვის გაწეული დახმარების გამო", მაგრამ იქვე განაცხადა, რომ ბაზრობა ოდნავაც არ ასახავს საფრანგეთის ეკონომიკის ნამდვილ მდგომარეობასო. „არ უნდა მივეცეთ ილუზიას, — სთქვა ბიშელონმა, — ჩვენ ვიცით, რომ ფასადს უკან, რაც ხანდახან მოტყუებითია, იმალება სილატაკე, რომელიც ზოგიერთ დარგში უკიდურესობას აღწევს. ეს სილატაკე უბრალოდ გამოხატავს იმ ჭეშმარიტებას, რომ არავითარ ღონისძიებას არ შეუძლია იმოქმედოს ყოველი ეროვნული ეკონომიკის ზოგიერთი ელემენტარული კანონის წინააღმდეგ". ბიშელონმა ვერ გაბედა პირდაპირ აღენიშნა საფრანგეთის გაღატაკების მიზეზები. მაგრამ იგი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ საფრანგეთის სამეურნეო ცხოვრება ჩიხში მოქცეული. „ვერც გამომგონებლობა, ვერც მოხერხებულობა, ვერც შეუპოვრობა, — აღიარა ბიშელონმა,—მთლიანად ვერ შესცვლის ჩვენთვის ვერც ქვანახშირს, ვერც ფოლადს, ვერც ელექტროენერგიას".

ესპანეთში იზრდება ანტიჰიტლერული მოძრაობა

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი (საკდესი). როგორც ორიპრესის სააგენტო ჰავანიდან იუწყება, იქ ჩასული ესპანელი მეზღვაურები ამბობენ, რომ ესპანეთში გაძლიერდა ანტიჰიტლერული სახალხო მოძრაობა.

ამას წინათ, მოგვითხრობენ მეზღვაურები, აღმოჩენილ იქნა ოფიცერთა შეთქმულება კორდოვაში და მთელ რიგ სხვა ცენტრებში ფალანგის წინააღმდეგ. დღითიდღე მატულობს ფრანკისტული რეჟიმის წინააღმდეგ საბოტაჟისა და მასობრივი გამოსვლის შემთხვევები. ამას წინათ, როცა გემზე გერმანიაში გასაგზავნ ღვინიან კასრებს ტვირთავდნენ, ერთ-ერთმა მტვირთავმა განზრახ გასტეხა ერთი კასრი, საიდანაც ღვინის ნაცვლად ზეითუნის ზეთი გადმოიღვარა, რაც, როგორც ვიცით, კვების უმნიშვნელოვანესი პროდუქტია ესპანეთში. ის ამბავი, რომ ხელისუფლება ესპანურ ზეთს გერმანიაში ჰგზავნისო, მყისვე მოედო ქალაქს. ნავსადგურში თავი მოიყარა აღელვებულმა ქალმა; მათ დაიწყეს კასრების მტვრევა. ხალხის დასამშვიდებლად ხელისუფლება იძულებული გახდა ზეთიანი კასრები ნაპირზე გადმოეტვირთა. ვალენსიაში მუშებმა უარი სთქვეს ემუშავნათ ესპანეთის ერთი ტრადიციული დღესასწაულის დღეს. ამ ნიადაგზე შეტაკება მოხდა პოლიციასთან.

ბილბაოს ნავსადგურში ხშირად ჩნდება ანტიჰიტლერული და ანტიფრანკისტული წარწერები. ბისკაიში ააფეთქეს შაქრის ქარხანა და საფქვავი საწარმო, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ გერმანელთათვის მუშაობდნენ.

საფრანგეთსა და გერმანიაში მატულობს ტუბერკულოზით დაავადება

ჟენევა, 27 სექტემბერი (საკდესი). ჟურნალი „შვეიცერიშე მედიცინე ვოხენშრიფტე" იუწყება, რომ ფილტვების ტუბერკულოზით დაავადების ზრდა საფრანგეთში შეადგენს 20 პროცენტს, ტუბერკულოზის სხვა ფორმებით დაავადებისა კი — 30 პროცენტს. 1938 წელთან შედარებით აშკარა ტუბერკულოზის შემთხვევებმა 250 პროცენტით იმატა.

„მიუნხნერ მედიცინიშე ვოხენშრიფტის" ცნობებით, გერმანიაში ტუბერკულოზით დაავადებამ 1931 წლიდან 1939 წლამდე ერთი-სამად იმატა, ხოლო 1939 წლიდან 1941 წლის ივნისამდე ერთი-ექვსად.

კვისლინგელებს ეშინიათ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე წასვლისა

ლონდონი, 29 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ შესაკრებ პუნქტებზე, სადაც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გაგზავნის წინ კვისლინგელ მოიერიშეებს სამედიცინო შემოწმებას უწევენ, შესდგა საპროტესტო მიტინგები. ბევრი მოიერიშე აცხადებდა, ფრონტზე არ წავალთო. დაპატიმრებულია 50 კაცი. 273 კვისლინგელი მოიერიშე ინტერნირებულია ჰოვიკში. ბევრი კვისლინგელი მეთაური ცდილობს გაექცეს ფრონტზე გაგზავნას. კვისლინგელთა ჯგუფები საზღვარგარეთ იმალებიან.

დაპატიმრებულია აგრეთვე ასობით გერმანელი ჯარისკაცი იმისათვის, რომ განაცხადეს, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე არ ვიბრძოლებთო. ბევრი მათგანი დახვრეტილია. იმ გერმანელ ჯარისკაცთა შორის, რომელთაც ბრძანება მიიღეს ფინეთში გასამგზავრებლად, თვითმკვლელობა ხდება. ჩრდილოეთ ნორვეგიაში შექმნილია სპეციალური ბანაკები, სადაც, როგორც იუწყებიან, ინტერნირებულია ათასობით გერმანელი. ნორვეგიის დასავლეთი სანაპიროს ქალაქებით განუწყვეტლივ მიდიან ტრანსპორტები დაპატიმრებულ გერმანელ ჯარისკაცებიანად. ზოგიერთ დაპატიმრებულ ჯარისკაცს ბორკილები აქვს გაყრილი.

დოკუმენტები გერმანელთა მიერ 1914-1918 წწ. ჩადენილი მხეცობის შესახებ

1914 წლის აგვისტოს გერმანიის ჯარები რუსეთის ტერიტორიაზე შემოიჭრნენ და ქალაქი კალიში დაიკავეს. რუსეთის მიწა-წყალზე თავიანთი შემოჭრისას ისინი ეწეოდნენ: ძალმომრეობას, ძარცვას, მშვიდობიან მოქალაქეთა მკვლელობას. „გამხეცებული გერმანელი ჯარისკაცები ველური ღრიანცელითა და ხმაურით შევარდებოდნენ ხოლმე ბინებში,—ასე აღწერს ამ შემოჭრას სისხლიანი ამბების მოწმე ინჟინერ-ტექნოლოგი ზ. ი. ოპმანი, რომელმაც კალიშიდან გაქცევა მოახერხა.—დაპატიმრებული იყო 700-ზე მეტი კაცი, მათ შორის ბევრი მოზარდი და მოხუცი. ჩხრეკის შემდეგ ყველას გარს შემოგვეარტყეს ჯარისკაცთა ძლიერი ბადრაგა, გვიბრძანეს ხელები მაღლა გვჭეროდა და ასე წაგვიყვანეს თავიანთ ბანაკში... გზაში გამოგვიცხადეს, რომ დასახვრეტად მივყავართ... მამაკაცების დაპატიმრების შემდეგ გერმანელ ჯარისკაცთა სხვა წყება ქალაქში დადიოდა ჩალითა და ნავთით და ცეცხლს უკიდებდა ქალებისა და ბავშვების ამარა დატოვებულ სახლებს...".

კიდევ უფრო მეტ სიმხეცეს სჩადიოდა გერმანიის არმია დაჭრილ და ტყვე რუს ჯარისკაცთა მიმართ. ავსტრიელი ოფიცრის—ქვეითი პოლკის ტყვედ დანებებული ლეიტენანტის 1915 წლის 6 ივნისის ჩვენებაში ნათქვამია: „სხვადასხვა ადგილას ეყარა რუსი ჯარისკაცების დასახიჩრებული, დამახინჯებული გვამები... გერმანელი ოფიცრები თავიანთ და ჩვენს, ავსტრიელ ჯარისკაცებს მუდამ ასწავლიან სისასტიკეს რუს ტყვეებზე, დაჭრილებზე და მოკლულთა გვამებზე. მე თვითონ საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ავარჯიშებდნენ გერმანელები ჩვენს ულანებს დაჭრილ, მოკლულ და ჰაობებში ჩაფლულ რუს ჯარისკაცთა კაფვაში, თავზარდაცემული ვხედავდი, როგორ მიცოცდებოდნენ ხოლმე ულანები ჰაობთან ფრთხილად და როგორ აჭრიდნენ თავს რუსებს, რომელთაგან ბევრი უმწეოლია, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

ყოველივე ნაამბობს ჩემი ოფიცრული სიტყვით ვადასტურებ და მზად ვარ გავიმეორო როცა და სადაც კი საჭირო იქნება".

ყველა ეს ფაქტი მოყვანილია სახელმწიფო პოლიტგამომცემლობის ახალ წიგნში „დოკუმენტები გერმანელთა მიერ 1914-1918 წ. ჩადენილი მხეცობის შესახებ". იგი წარმოადგენს სახელმწიფო არქივებიდან ამოღებული ნამდვილი აქტების, ბრძანებების, მოხსენებების, წერილებისა და ტყვეთა ჩვენებების კრებულს. დოკუმენტების წიგნი კვლავ მოწმობს, რომ გერმანელთა მხეცობა შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ გერმანიის ყაჩაღური იმპერიალიზმის სასტიკი ყაჩაღური ბუნების ორგანულ თვისებას წარმოადგენს.

საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობა საქონლის გამოზამთრებისათვის მზადების საქმეში

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს 1942 წელს საქონლის სულადობისა და პროდუქტიულობის სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმეში. მაგრამ ამჟამად კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დგას ახალი მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა — აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქონლის გამოზამთრებისათვის მზადებაში.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით, 5 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე ჩატარდება პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების ერთთვიური.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო ავალებს საქ. ალკკ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციებს — დღეიდანვე შეუდგნენ პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებას, განიხილონ ეს საკითხი საქ. ალკკ საოლქო და რაიონული კომიტეტების ბიუროების სხდომებზე და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების კრებებზე, ყოველგვარი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებისა და მეცხოველეობის ფერმების გამგეებს საქონლის გამოზამთრებისათვის მზადების საქმეში.

15 ოქტომბრამდე უნდა შემოწმდეს მეცხოველეობის ყველა ფერმა პირუტყვის საკვებით მომარაგების მდგომარეობის შესასწავლად. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კოლმეურნეობების გამგეობებთან და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებთან ერთად ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ საქონლის საკვების: თივის, ჩალის, ბზის, ნამჯის, სილოსის, ძირნაყოფების და სხვათა საკმაო რაოდენობით მომზადებისათვის, მოაწყონ მისი მიზიდვა ბოსლებთან და დააწესონ სასტიკი კონტროლი მის ხარჯვაზე.

კომკავშირულ ორგანიზაციებს ევალებათ შექმნან სპეციალური ბრიგადები კომკავშირელებისა და კავშირგარეშე ახალგაზრდებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ 5 ნოემბრამდე საქონლის საზამთრო ბინების მშენებლობის დამთავრებას და ძველ ნაგებობათა შეკეთებას. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ყველა სახის პირუტყვი უზრუნველყოფილ იქნას ნათელი, სუფთა და თბილი ბინებით.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი ავალებს საქ. ალკკ საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს უშუალო მონაწილეობა მიიღონ ბრიგადების დაკომპლექტებაში, მწყემსების თბილი ტანსაცმლითა და საკვებით მომარაგებაში, ურმებისა და ცხენების აკაზმულობის მომზადებაში და სხვ.

საქ. ალკკ საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნებს ევალებათ 10 ნოემბრისათვის მოაწოდონ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს ანგარიში ერთთვიურის ჩატარების შესახებ.

სრულიად-საქართველოს გასამხედროებული ესტაფეტი

ამ დღეებში „დინამოს" სტადიონზე შესდგა საყოველთაო სამხედრო სწავლების მეორე შეკრებასთან დაკავშირებული სრულიად-საქართველოს გასამხედროებული ესტაფეტის ფინიში.

ესტაფეტში მონაწილეობა მიიღო 56 რაიონის 13 ათასამდე კაცმა. ესტაფეტი გადაჰქონდათ ცხენით, ველოსიპედით და გასამხედროებული ლაშქრობით. მოტანილი პაკეტებიდან გამოირკვა, რომ საქართველოს რაიონებში საყოველთაო სამხედრო სწავლებას მეორე ნაკადის ქვეგანაყოფებში დიდი მუშაობა ჩატარდა. სულ მომზადებულია ხელჩართული ბრძოლის 864 ინსტრუქტორი, აგრეთვე 14 ათასზე მეტი გრანატმტყორცნელი, 362 ველოსიპედისტი, 98 ცხენოსანი, 83 მოტოციკლისტი, 3.818 მოცურავე და სხვ. სულ საქართველოს რაიონებში ჩატარებულ იქნა 144 სპორტული ღონისძიება—30.287 კაცის მონაწილეობით. მეორე ნაკადში აგრეთვე მომზადებულია მშთ პირველი საფეხურის 7.580 და მეორე საფეხურის 85 ნიშნოსანი.

სრულიად-საქართველოს გასამხედროებულ ესტაფეტში კარგი მომზადება გვიჩვენეს და აქტიური მონაწილეობა მიიღეს აჭარის და აფხაზეთის ასს რესპუბლიკებმა, აგრეთვე ქუთაისის, ცხაკაიას, ხაშურის, გეგეჭკორის და გურჯაანის რაიონებმა.

სრულიად-საქართველოს გასამხედროებული ესტაფეტის დამთავრების აღსანიშნავად „დინამოს" სტადიონზე გაიმართა დიდი სპორტული დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცხენოსნებმა, მძლეოსნებმა და ფეხბურთელებმა.

სპორტულ დღესასწაულზე დამყარებულ იქნა საქართველოს ორი ახალი რეკორდი: მსოფლიო რეკორდსმენმა დუმბაძემ გრანატის შეკვრა სტყორცნა 23 მეტრზე, ხოლო ორდენოსანმა ლენა გოკიელმა სიგრძეზე ხტომაში დაამყარა ახალი რეკორდი—5,37 მეტრი (ძველი რეკორდი ეკუთვნოდა მასვე—5,33 მ.).

„ინჟინერი სერგეევი“ ქუთაისის თეატრში

ქუთაისი („კომუნისტის" კორ.). 29 სექტემბერს ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა სეზონის პირველ პრემიერად წარმოადგინა ვ. როკის პატრიოტული პიესა „ინჟინერი სერგეევი". პიესა დადგა გ. სულიაშვილმა, მხატვრულად გააფორმა იაკაშვილმა, მუსიკა დასწერა თ. ვახვახიშვილმა. მთავარ როლებს ასრულებენ: პირველი, სვანიძე, კინწურაშვილი, აბესაძე, კობალაძე, ნაცვლიშვილი და წინამძღვარი. პრემიერა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ს. ჟურაშვილი

პროპაგანდისტთა სემინარი

1 ოქტომბერს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის (ოქტომბრისშემდგომი პერიოდი) შემსწავლელ პროპაგანდისტთა სემინარის მორიგი მეცადინეობა.

პროპაგანდისტთა დასწრება სავალდებულოა.

ლექციები და მოხსენებები

1 ოქტომბერს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, კომბინატ „კომუნისტის" კლუბში (ლენინის ქ. № 28) რაიონული აქტივისათვის შესდგება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორის ამხ. გუნიას ლექცია რუსულ ენაზე, თემა: „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და ჩვენი ამოცანები".

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცხაკაიას რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1538032, გაცემული ალექსანდრე ივანეს-ძე შუბლაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ყველა დაწესებულებას, მეგობრებსა და ნაცნობებს, რომლებმაც პირადად თუ წერილობით მიიღეს მონაწილეობა რესპუბლიკის სახალხო არტისტის განსვენებულ ნიკო ქუმსიაშვილის დაკრძალვაში და თანაგრძნობა გამოუცხადეს მის ოჯახს.

ნინო დევდარიანი-ქუმსიაშვილი

თეატრებში

2 ოქტომბერს — სახოპერა — „რიგოლეტო". რუსთაველის სახელობის — „კიკვიძე". მარჯანიშვილის სახელობის — „მეფე ერეკლე". გრიბოედოვის სახელობის — „რუსი ხალხი". სომხური თეატრი — „ეჭვით ავადმყოფი". ახუნდოვის სახელობის — „ოქტაელ ოგლუ". მუსიკალური კომედიის—„არშინ-მალ-ალან". მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი — „რომეო და ჯულიეტა". მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი — „ვასილისა მშვენიერი და ივანუშკა". მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი — „ვერაგობა და სიყვარული". საქ. ფილარმონიის საზაფხულო ბაღი — ბოშათა სიმღერისა და ცეკვის საღამო თამარ სტეპანაის მონაწილეობით.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „ლენინგრადი ბრძოლაში", ოქტომბერი — „ხიდი", დამკვრელი — „საბრძოლო კინოკრებული № 4", კომკავშირელი — „მესაზღვრეები", სპარტაკი — „მე დავბრუნდები", ლუქსემბურგის სახ. — „საიდუმლო კუნძული", 26 კომ. სახ. — „გიორგი სააკაძე", კომინტერნი — „ხიდი", მეცნიერება და ცოდნა — „უკანასკნელი ღამე".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის უნივერმაღი აცხადებს,

რომ თავისი სამკერვალო და ფეხსაცმლის სახელოსნოებისათვის მას სჭირდება მკერავები და ხელოსნები — როგორც შინა მომუშავენი, ისე სახელოსნოებში.

პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: ეორესის ქ. № 7, ოთახი № 13, კადრების განყოფილება. ტელეფონი № 3—31—49, დილის 9-დან საღამოს 5½ საათამდე.

დირექცია

თბილისის № 22 პოლიკლინიკის და აფთიაქის თანამშრომლები იუწყებიან ამავე პოლიკლინიკის ექიმ

კალენიკე სოლომონის-ძე შალიკავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/X სოფ. ასკანაში. 1236

განსახკომის უმაღლესი სკოლის სამართველოს თანამშრომლები იუწყებიან ამხ. როსტომ შადურის მეუღლის

ეკატერინე დავითის-ასულ შადურის

გარდაცვალებას. 1232

საქ. კოოპინკავშირის თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება თანამშრომელ ქენია ქიქვილაშვილის მამის

პავლე ქიქვილაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ზროძლეთში (გორის რ.). 1233

თბილისის 86-ე მაღაზიის თანამშრომლები იუწყებიან ამავე მაღაზიის თანამშრომლის მიშა სირბილაძის ძმისწულის პატარა

დათიკო გიორგის-ძე სირბილაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/X სოფ. ითხვისში (ჭიათურის რ.). 1234

სამტრესტის კონიაკ-არყის ქარხნის მუშაკთა კოლექტივი იუწყება ნოე შარაშიძის მეუღლის ექიმ

შურა (ალექსანდრა) დიომიდეს-ასულ თედორაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3/X, 7 ს. გამოსვენება 4/X, 6 ს. პლეხანოვის პროსპ. № 108. 1235

ცეკავშირის სასურსათო ბაზის დირექცია და თანამშრომლები იუწყებიან ამხ. გიორგი გუგუშვილის ბიძის

კონსტანტინე (კოწია) ტრიფონის-ძე გუგუშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/X ს. ეწერაში (აბაშის რ.). 1237

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 9794